



ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის:

**კლიმატის ცვლილების ზეგავლენა**  
გარემოზე და მისი კავშირი  
ბუნებრივ საფრთხეებთან

# კლიმატის ცვლილების

## ზეგავლენა გარემოზე და მისი კავშირი ბუნებრივ საფრთხეებთან




კლიმატის ცვლილება უარყოფითად ზემოქმედებს ბუნებრივ გარემოსა და ადამიანის სიცოცხლეზე. ექსტრემალური კლიმატური პირობები, და მზარდი ცვლილებები, როგორცაა უფრო მაღალი საშუალო ტემპერატურა, ზღვის დონის მატება და ყინულის დნობა (მათ შორის პოლარული), მძიმე შედეგებს იწვევენ. ზიანის ნაწილი შეუქცევადია, როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური სისტემებისთვის.<sup>1</sup> კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) უახლესი **ანგარიში** ხაზს უსვამს კავშირს კლიმატის ცვლილებასა და კლიმატურ საფრთხეებს შორის. სამეცნიერო ცოდნა დღეს უკვე ცალსახად მიუთითებს, რომ ადამიანის ქმედება - პირველ რიგში სათბური გაზების გაფრქვევა - დედამიწის კლიმატს ცვლის, რაც ზრდის იმ ბუნებრივი საფრთხეებს რისკს, რომლებიც ეკონომიკას, ეკოსისტემას და საზოგადოებებს ემუქრება.

**„მეტეოროლოგიური, კლიმატური და წყალთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენების რაოდენობა იზრდება და, კლიმატის ცვლილების შედეგად, მსოფლიოს ბევრ ნაწილში გაიზრდება ამ მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე.“**  
ამბობს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) გენერალური მდივანი, პროფესორი პეტერი ტაალასი.<sup>2</sup>

კლიმატის ცვლილება იწვევს ეტაპობრივ ცვლილებებს ბუნებრივ გარემოში, როგორცაა ზღვის დონის მატება და კლიმატური ზონების წანაცვლება, რაც გაზრდილ ტემპერატურას და შეცვლილ ნალექიანობას უკავშირდება. ამასთან, კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობების რადიკალური ცვლილების შედეგად ფიქსირდება ანომალიურად მაღალი ტემპერატურა ოკეანეში და ხმელეთზე, ხშირდება ექსტრემალური ნალექიანობის შემთხვევები, გვალვები და ტყის ხანძრები.<sup>3</sup> ამ ყველაფრის ერთობლიობა მასშტაბურ და მრავლისმომცველი ზეგავლენა ქმნის.

ამასთან, მზარდი ურბანიზაციისა და კლიმატის ცვლილების თანხვედრა დამატებით **რისკებს** წარმოშობს, განსაკუთრებით იმ ქალაქებისთვის, სადაც ურბანული ზრდა ცუდად იმართება, სადაც მაღალია სიღარიბის დონე და უმუშევრობა, სადაც არსებობს აუცილებელი სერვისების მწვავე დანაკლისი.<sup>4</sup>



<sup>1</sup> IPCC, 2022: Summary for Policymakers. Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Contribution of Working Group II to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change pp. 3–33, doi:10.1017/9781009325844.001.

<sup>2</sup> Weather-related disasters increase over past 50 years, causing more damage but fewer deaths, World Meteorological organization, 2021

<sup>3</sup> IPCC, 2022: Summary for Policymakers. Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Contribution of Working Group II to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change pp. 3–33, doi:10.1017/9781009325844.00

<sup>4</sup> IPCC Climate change: a threat to human wellbeing and health of the planet. Taking action now can secure our future



# რისი გაშუქება შეუძლია მედიას?

მედიას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საზოგადოების ინფორმირებაში ბუნებრივ საფრთხეებთან დაკავშირებულ რისკებსა და მათთან გამკლავების საშუალებებზე, როგორც სახელმწიფოს, ისე ბიზნესის მხრიდან. კარგ ჟურნალისტიკას შეუძლია საზოგადოებას მიაწოდოს საკვანძო ინფორმაცია იმ აუცილებელ ნაბიჯებზე, რაც რაც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შემცირებას და მედეგობის გაძლიერებას სჭირდება, ისევე როგორც ინფორმაცია ნახშირბადის ემისიების შემცირების გზებზე.

**„ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების გასაგებად კლიმატის ცვლილება კრიტიკულად მნიშვნელოვანი კონტექსტია. ეს არა აქტივიზმის, არამედ სიზუსტის საკითხია,“<sup>5</sup> აცხადებს „კლიმატის გაშუქება ახლა“ (CCNow) - 400-მდე საინფორმაციო საშუალების გლობალური კოლაბორაცია.**

## რა აკლია ბუნებრივი საფრთხეების გაშუქებას საქართველოში?

### კლიმატის ცვლილების კონტექსტი

მედიას შეიძლება გაუჭირდეს იმის თქმა, რომ ბუნებრივი საფრთხეები კლიმატის ცვლილების პირდაპირი შედეგია. თუმცა იმის განხილვით, თუ რას გვეუბნებიან მეცნიერები ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების კლიმატის ცვლილების შედეგად გაზრდილ ალბათობაზე, შესაძლებელია ცალკეული მოვლენების კონტექსტის გაშუქება; გარკვეულ შემთხვევებში მეცნიერებას შეუძლია იმის დადასტურება, რომ კლიმატის ცვლილებამ ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენის ალბათობა, ან მისი სიმწვავე გაზარდა. ჟურნალისტებს შეუძლიათ ეს ინფორმაცია გამოიყენონ და ცალკეული მოვლენები კლიმატის ცვლილების უფრო ფართო სურათს დაუკავშირონ.<sup>6</sup>

### ბუნებრივი საფრთხეების სოციალური განზომილება

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი საფრთხის ზემოქმედება ყველაზე მწვავედ ხშირად ადგილობრივ დონეზე იგრძნობა. ჟურნალისტებმა უნდა შეისწავლონ კავშირი ბუნებრივ მოვლენებსა და ისეთ სოციალურ საკითხებს შორის, როგორცაა სიღარიბე, უთანასწორობა და დისკრიმინაცია, რომელიც ჯგუფებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის.

### ამბებთან მიბრუნება

ბუნებრივ კატასტროფებს ხშირად ინტენსიური მედია გაშუქება მოჰყვება, თუმცა დროსთან ერთად ეს ამბები საზოგადოების ყურადღებას კარგავს. ამბებთან მიბრუნებას შეუძლია დაზარალებული ჯგუფების საჭიროებებს ყურადღება შეუნარჩუნოს, უზრუნველყოს მათი ინტერესების გაშუქება, რათა მათ რესურსების და მხარდაჭერის მიღება შეძლონ. ამასთან, ამბებთან მიბრუნებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს უფრო სიღრმისეულ გაშუქებას და მოვლენების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკოლოგიურ კონტექსტთან დაკავშირებას. ზოგჯერ მეცნიერები აქვეყნებენ ახალ კვლევას გლობალური და რეგიონული ცვლილებების შესახებ, რაც იმასაც ხსნის, თუ როგორ იცვლება მდგომარეობა საქართველოში. ასეთი შემთხვევები შესაძლებლობაა თანადროულად გაშუქდეს როგორც გლობალური ტენდენციები, ისე საქართველოში მიმდინარე მოვლენები და ეროვნული გამოცდილება გლობალურ ტენდენციებს დაუკავშირდეს.

### ბუნებრივი საფრთხეების გამომწვევი მიზეზების კვლევა

მათ შორის ისეთი ფაქტორების, როგორცაა კლიმატის ცვლილება, მინათსარგებლობა და განვითარების ტრენდები. ასეთ მიდგომას შეუძლია შექმნას გამომწვევების უფრო სრული სურათი და აუდიტორიას უბიძგოს იმოქმედონ საფრთხეების მიზეზების საპასუხოდ.

<sup>5</sup> <https://coveringclimatenow.org/wp-content/uploads/2021/09/Climate-Connection.pdf>

<sup>6</sup> Getting the Message Across Reporting on Climate Change and Sustainable Development in Asia and the Pacific: A Handbook for Journalists

## ადგილობრივი ამბები

კლიმატის ცვლილების კონტექსტში ბუნებრივი რისკების ადგილობრივად გაშუქება რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. ადგილობრივი ამბები ამაღლებენ ცნობიერებას ბუნებრივ საფრთხეებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებზე, რომლის წინაშეც ესა თუ ის თემი დგას. ამასთან, ადგილობრივი გაშუქება ქმნის სიმწვავის განცდას და სახელმწიფოებს, ორგანიზაციებს და ინდივიდებს მოქმედებისკენ უბიძგებს ამ საფრთხეების შესამცირებლად.

## გამოსავლის ადგილობრივი გზები

გამოსავლის გზების გაშუქება, რომლებსაც შეუძლიათ ეკოსისტემებისა და ადგილობრივი თემების მონყვლადობის შემცირება.

# კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები საქართველოში

პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული მიზეზების გამო, საქართველო მონყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ და ნოტრ-დამის უნივერსიტეტის ადაპტაციის გლობალური ინდექსის (ND-GAIN) ნუსხაში 182 ქვეყანას შორის 42-ე ადგილს იკავებს.<sup>7</sup> საქართველოს კლიმატური რისკის პროფილის მიხედვით, კლიმატის ცვლილების მიმართ ძალიან მონყვლად სექტორებად ჩაითვალა სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები, მეტყვეობა, ენერგეტიკა, ნარჩენების მართვა, მინერალური რესურსები და ჯანდაცვა. „საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი“ (UNFCCC) აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. თუმცა საქართველოს დღემდე არ მოუშადავია ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP) (ადაპტაციის სტრატეგიის დოკუმენტი), რაც ნიშნავს, რომ ძირითადი საფრთხეები და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მართვის თუ შემცირების პრიორიტეტული გზები შესწავლილი არ არის. საქართველოს ეროვნული შეტყობინება ასევე აცხადებს, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე ის კლიმატის ცვლილების უარყოფით ზეგავლენას ვერ გაუმკლავდება. არსებული პროგნოზის თანახმად, ადაპტაციის გარეშე, 2021-2030 წლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ზიანი 10-12 მილიარდ დოლარს მიაღწევს, მაშინ როცა ადაპტაციის ზომების საფასური 1.5-2 მილიარდი დოლარია.<sup>8</sup>



ყვინვარწვერის მიმდებარე ტერიტორია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | ფოტო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

<sup>7</sup> ეს ინდექსი ასახავს რამდენად მონყვლადია ქვეყანა კლიმატის ცვლილების და სხვა გლობალური გამოწვევების მიმართ; ის ასევე აფასებს ქვეყნის მედეგობის გაუმჯობესების უნარს. <https://gain-new.crc.nd.edu/country/georgia>

<sup>8</sup> Scaling-up Multi-Hazard Early Warning System and the Use of Climate Information in Georgia; Green Climate Fund. UNDP. 2017





ტყის ხანძარი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი | ფოტო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## ბუნებრივი საფრთხეები საქართველოში

საქართველო გაზრდილი ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხის და ბუნებრივი კატასტროფების რისკის წინაშე დგას. საფრთხეებს შორისაა მეწყრები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ღვარცოფები, გვალვები, ზვავები, ძლიერი ქარი და ქარიშხლები. ამ რისკების უმრავლესობა ქვეყნის კომპლექსურ, მთიან ლანდშაფტს უნდა მივანეროთ. ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება გაზრდის მიწისძვრის, წყალდიდობების, მეწყრის და ინტენსიური ნალექიანობის სიხშირეს და სიმწვავეს, რაც საქართველოს ბუნებრივი კატასტროფების კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ დააყენებს.<sup>9</sup>

საქართველო 191 ქვეყანას შორის 131-ე ადგილს იკავებს ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავების და მათი მართვის უნარის მიხედვით. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასწარი შეფასების მიხედვით, საქართველოს კატასტროფის რისკის პროფილი კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ამას ზოგადი მონაცემები აჩვენებს. მთიანი ლანდშაფტისა და კლიმატის გამო, საქართველო ერთდროულად გეოლოგიური ჰიდრომეტეოროლოგიური ბუნებრივი საფრთხეების წინაშე დგას.<sup>10</sup>

„საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი“ ასკვნის, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობა და სიმძიმე კლიმატის ცვლილების შედეგად გაიზარდა. ეკონომიკურად, ისევე როგორც ფატალურობის კუთხით, ყველაზე დამაზიანებელი წყალდიდობები აღმოჩნდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყრულ-გრავეიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და მასშტაბი. კლიმატური მოდელები პროგნოზირებენ ტყის ხანძრის რისკის ზრდასაც.

მეწყრული და ღვარცოფული პროცესების ზრდის კუთხით აღსანიშნავია, რომ 2018 წლისთვის დასახლებულ პუნქტთა 18 პროცენტი (647 დასახლება) მაღალი გეოლოგიური რისკის ზონაში იმყოფებოდა.<sup>11</sup>

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“ და თანხლები სამოქმედო გეგმა. ამ დოკუმენტების მიხედვით, ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების რაოდენობა საშუალოდ 15 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენების რაოდენობა 58 პროცენტით. შედეგად, გაიზარდა ექსტრემალურ მოვლენებთან დაკავშირებული ზარალიც. უახლესი გამოთვლების მიხედვით, მხოლოდ 2015 წელს, ექსტრემალური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი 389 მილიონი ლარით შეფასდა.<sup>12</sup>

კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია 2020 წლის შემდეგ არ განახლებულა. ზოგადად ქვეყანას არ აქვს რისკებისა და მოწყვლადობის განმსაზღვრელი რუკა არცერთი იმ ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხის შესახებ, რომელიც მას ემუქრება.

<sup>9</sup> <https://climateknowledgeportal.worldbank.org/country/georgia/vulnerability>

<sup>10</sup> Scaling-up Multi-Hazard Early Warning System and the Use of Climate Information in Georgia; Green Climate Fund. UNDP. 2017

<sup>11</sup> Fourth National Communication of Georgia Under the United Nations Framework Convention on Climate Change, 2021

<sup>12</sup> National Disaster Risk Reduction Strategy of Georgia 2017-2020